ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი

ქ. ტყიბული **24 იანვარი, 2019 წ.**

ოქმი N3

2019 წლის 24 იანვარს ქ. ტყიბულში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის მესამე შეხვედრა.

შეხვედრას ესწრებოდა 6 ადამიანი.

სამუშაო ჯგუფის წევრები:

1. თემურ ჩუბინიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი;
2. გიორგი ლომთაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
3. კობა რობაქიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
4. ზაზა ზოსიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
5. თენგიზ თევზაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
6. ზაზა გოჩელაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - სამუშაო ჯგუფის მდივანი.

სხდომა წარიმართა შემდეგი დღის წესრიგით:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შემოსული განსახილველი საპროექტო განაცხადების შესახებ;
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით საერთო კრებებისა და კონსულტაციების ჩატარების შესახებ;

დღის წესრიგით განსაზღვრულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, შეხვედრა გახსნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა ზაზა ზოსიაშვილმა. მან სამუშაო ჯგუფს წარმოუდგინა ამ ეტაპისათვის შემოსული საპროექტო განაცხადები. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით სულ შემოსულია:

- საწირის ადმინისტრაციული ერთეული 14 საპროექტო განაცხადი;
- მუხურის ადმინისტრაციული ერთეული 4 საპროექტო განაცხადი;
- კურსების ადმინისტრაციული ერთეული 3 საპროექტო განაცხადი;
- სოჩხეთის ადმინისტრაციული 10 საპროექტო განაცხადი;
- ცუცხვათის ადმინისტრაციული ერთეული 3 საპროექტო განაცხადი;
- ორპირის ადმინისტრაციული ერთეული 13 საპროექტო განაცხადი;
- ხრესილის ადმინისტრაციული ერთეული 14 საპროექტო განაცხადი;

- ჯვარისის ადმინისტრაციული ერთეული 5 საპროექტო განაცხადი;
- გურნის ადმინისტრაციული ერთეული 14 საპროექტო განაცხადი.

სულ ამ ეტაპისათვის შემოსულია 80 საპროექტო განაცხადი.

დღის წესრიგით განსაზღვრულ მეორე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს ინფორმაცია წარუდგინა ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კობა რობაქიძემ. მან სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო ინფორმაცია 25 იანვრიდან დასაწყები კონსულტაციებისა და საერთო კრებების შესახებ.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს საპროექტო წინადადებების შესახებ. ასევე, კონსულტაციებისა და საერთო კრებების ჩასატარებლად მოსამზადებელი დოკუმენტაციისა და პროცედურების შესახებ.

საბჭომ დაადგინა:

1. ცნობად იქნას მიღებული შემოსული საპროექტო განაცხადები და დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მათ მიხედვით მოამზადოს საერთო კრებებისა და კონსულტაციების ჩატარებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია.

2. დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, უზრუნველყოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

გიორგი ლომთაძე
სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი

ზაზა გოჩელაშვილი
სამუშაო ჯგუფის მდივანი